კვირა, 16 მაისი, 1904 წ.

1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904

კვირა, 16 მაისი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 115 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 115

[illegible] ნაწილად შემოტანის ვადა.
1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ. მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

---

14 მაისს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**იოსებ ზოსიმის ძე ბაქრაძე,**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა დიდი განსვენებულისა ეკატერინე სვიმონის ასული და მეუღლე ოლისაბედ ანტონის ასული შვილებითურთ. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზედ განსვენებულის სახლში: ალექსანდროვის ქუჩა, სახლი № 74.

გამოსვენება ორშაბათს დილის 9 საათზე საკუთ. სახლიდან წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში, ხოლო დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზედ. (2—2)

---

„ივერიის" რედაქცია მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას გარდაცვალებას თვისის დიდი ხნის თანამშრომლისა

**იოსებ ზოსიმის-ძის**

**ბაქრაძისას.**

---

ნინო მერაბის ასული იოსელიანი შვილებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთა, რომ მისის ძვირფასის და დაუვიწყარის ქალის

**მართა ისიდორეს ასულის იოსელიანის**

სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი ამაღლების ეკკლესიაში (სოლოლაკში) ორშაბათს, 17 მაისს. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე. (1 161—1)

---

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 16 მაისს, 12 საათზე ანჩისხატის ტაძარში გარდახდილ იქმნება

**პანაშვიდი**

„საზოგადოების" გარდაცვლილ წევრთა სულის მოსახსენებლად.

---

Feriencolonien. Colonie des vacances.

„პატარა-ცემი"

## საზაფხულო სამყოფი

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

## მოზარდ ქალ-ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ტყეზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოკანცული, ნავადმყოფარი, მადა-დაკარგული, კაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მისი წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი [illegible] და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიქლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:**

**15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.**

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზ ზაის ქ. № 46. (15—14)

---

გამოვიდა და ისყიდება დიდი სურათი

## ჯგუფი

## ქართველთ მწერლებისა

(მესამე გამოცემა).

ტარ. მოსცელიძისა.

ფასი თითო სურათისა 75 კაპ. ქალაქ გარეთ გაგზავნას ფას დადებითაც ვკისრულობთ, მხოლოდ არა ნაკლებ ხუთის ცალისას.

ადრესი: въ Тифлисъ, Эриванск. пл., д. Харазовой, Тарасію Момцеидзе. (წლ.).

---

ჩვეულებრივი საზოგადო კრება ქუთაისის სამეურნეო საზოგადოება «კოლხიდა»-სი დანიშნულია 30 მაისს, საღამოს 7 საათ., ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების სადგომში.

**განსახილველი საგნები:**

1) განხილვა და დამტკიცება 1903 წ. ანგარიშისა.

2) მოხსენება: სარევიზიო კომისიისა 1903 წ. ანგარიშის გამო.

3) გამგეობისა ამხანაგობის აპერაციების შესახებ.

4) განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1904 წლისათვის.

5) არჩევა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა. (1—6—1).

---

მთავრობის მიერ დაარსებული ქუთაისის ქალთა პროგიმნაზია.

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენიები პროგიმნაზიის ახლად გახსნილ 2 კლასში დაიწყება 18 მაისიდგან, მოსამზადებელ და პირველ კლასებში 21 მაისიდგან. დაწვრილებით ცნობები ეგზამენების შესახებ შეუძლიანთ მსურველთ შეიტყონ პროგიმნაზიაში, მესხეთის ქუჩაზედ, ტყეშელაშვილის სახლებში. (3—6—3).

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჯანა

2.

## ალი

მოთხრობა მესიე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-ადდებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ Общество распрстр. грамотносги.

---

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».

ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

---

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—3)

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი** 11—12 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**მ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზხერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2—8$ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. (წლ.)

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

---

**ბძელიშვილი კონსტანტინე** კლდის-ბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

---

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

---

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

---

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

---

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასმაიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ი. ბალაჯარაშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევნიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. მ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთანდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

---

# ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ომის ველი.—ჩინეთის სურვილი.—უცხოელების აზრი პორტ-არტურის ციხე-სიმაგრის შესახებ.—რუსის აფიცრის ნაამბობი.—ადმირალი სკრიდლოვი ვლადივოსტოკში.

სამხედრო მიმომხილველი გაზეთ «ნ. ი. ჰერალდისა» ამბობს, იაპონელები აღარ მოელიან, რომ ლიაოდუნის ყურეს ჩრდილოეთად რამე წინააღმდეგობა გაუწიოს რუსის ჯარმა, და თავისი ჯარი თამამად გადაჰყავს, რომ თავის ლაშქრის მარცხენა ფრთას მხარი დაუჭიროს.

თუმცა მუკდენიდგან მრავალი დაუჯერებელი და ერთი ერთმანერთის საწინააღმდეგო ამბები მოდის, მაგრამ, ეტყობა, გენერალ კუროპატკინის ლაშქარი ამ ჟამად ცოტა სხვა ნაირად უნდა იყოს დაბანაკებული, ვიდრე წინად. აქამომდე ჯარი რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ იდგა, ეხლა კი სამხრეთიდგან ჯარი უკან დაიწევდა და აღმოსავლეთისკენ გადაინაცვლებდა ადგილს, ასე რომ თავის მარჯვენა ფრთით ლიაოიანს იცავს.

იაპონელების ლაშქარი აუჩქარებლად მიდის წინ, რომ იმის ფრთებმაც მოასწრონ თავის დანიშნულების შესრულება. სამი რაზმი, რომელიც გენერალ კუროკის ლაშქარს უნდა ეკუთვნოდეს, დიდის გაჭირებით იკვლევს გზას ჩრდილოეთისკენ და, როგორც ეტყობა, მუკდენზე აპირობს მისვლას.

რუსეთის კავალერიას ხშირად აქვს შეტაკება იაპონელებთან და უტყუარი ცნობები მიაქვს მთავარ-სარდლისათვის. მზვერავი რაზმები დიდს სამსახურს უწევენ რუსეთის ჯარს, რადგან, თუ არ ისინი, გენერალ კუროპატკინს არ ეცოდინებოდა, საიდგან უნდა მოელოდეს მტერს და, შესაძლოა, მუკდენს ზევით იაპონელებს რკინის გზა გადაეჭრათ და რუსის ლაშქარი გაემარტოებინათ. მისი მდგომარეობა სწორედ რომ სახიფათო იქმნებოდა, რადგან ჩინეთის მხრივაც მოსვენება არ ექმნებოდა. ჯერ ეხლაც ხუნხუზები მუდამ აწუხებენ რუსის ჯარს და ამ ხუნხუზებში ჩინეთის ჯარის კაცებიც ურევია; ხალხი აშკარად ემხრობა ხუნხუზებს (პ. ვ.)

—

ჩინეთიდგან ბერლინის გაზეთებს სწერენ: ჩინეთი მოუთმენლობით ცახცახებს და ჩქარობს იაპონიას მიემხროს, რომ რუსეთს ხელიდგან გამოჰგლიჯოს თვის დინასტიის სამშობლო მხარე—მანჯურია, სადაც იმპერატორისა და იმპერატრიცის მამაპაპათა აკლდამებია. თუ რომ იაპონელებმა კიდევ რამდენჯერმე გაიმარჯვეს, იუანშიქაის ჯარი, რომელიც საომრად გამზადებულია, მუკდენისაკენ გასწევს და მაშინ საზარელი სისხლის ღვრა მოხდება (იქვე).

—

გრაფი რევენტლოვი ატყობინებს «ბერლ. ტაგ.»-ს, იაპონელები თანდათან საუკეთესო ადგილს იჭერენ მანჯურიაში. 20,000 კაცი კაი-ჯოუსთან გადუყვანიათ, ნიუჯუანის მახლობლად, რომელიც ჯარის გადაყვან-გადმოსაყვანად ძალიან დასამხრისია. გენერალ კუროკის ლაშქარი ჩრდილო დასავლეთისკენ მიდის. მეორე ლაშქარიც რკინის გზისაკენ მიიწევს, დასავლეთად. ორთავე ლაშქარში 180,000 მეომარი იქმნება (იქვე).

—

გაზეთ «პატრის» ლონდონელი კორესპონდენტი იწერება, პორტ-არტურის განცალკევება იაპონელების მხრივ დიდი გამარჯვება არის. მაგრამ იაპონიის მთავრობა არ უნდა აჩქარდეს და პორტ-არტურის აღებას არ უნდა შეუდგეს, ვიდრე დარწმუნებული არ იქმნება, რომ გაიმარჯვებსო. ლონდონში კი ყველა ჰფიქრობს, იაპონელები ვერ მოითმენენ, რომ იერიში არ მიიტანონ პორტ-არტურზე,

როდესაც მძიმე ზარბაზნებს დაუპირდაპირებენო ამ ათის წლის წინად იაპონელებმა 4 თორმეტ დიუმიანი ზარბაზანი მიიტანეს, 12 ცხრა-დიუმიანი და 14 მორტირა. დალიანვანზე მაშინ ჩინელებს 6 ციხის ზარბაზანი ჰქონდათ კრუპისა და კრეზოსი. იაპონელები არ შეუშინდნენ, იერიში მიიტანეს, სამს კვირაზე აიღეს იმ დღიდგან, როდესაც ბიძივოს გადასხეს ჯარი (რ. ვ.).

—

რუსის აფიცერი, რომელიც პორტ-არტურში ყოფილა უკანასკნელ იერიშის დროს, შემდეგსა სწერს «სიბ. ჟიზნში“:

«შუადღისას ნავთსადგურის პირდაპირ 6 სამხედრო გემი გამოჩნდა; მარცხნივ კიდევ გამოჩნდა 6 გემი და გოლუბინის ბუხტაშიც 5 ჯავშნიანი გემი. ექვსი გემი გამწკრივდა ნავთსადგურის შესავლის პირდაპირ 8 ვერსის სიშორეზე, დანარჩენები კი არა სჩანდნენ. გაჩნდა გრიალი. ჩვენ ფეხთ ქვეშ მთა ზანზარებდა. მხოლოდ შემდეგ მივხვდი, იაპონელები ნავთსადგურის შესავლის პირდაპირ რად იდგნენ უსაქმოდ გამწკრივებული: ეს გემები თურმე ანიშნებდნენ, სად დაეცა ყუმბარა და საით უნდა დამიზნება, მარჯვნივ, მარცხნივ, ახლო თუ ცოტა შორს. ჩვენც სწორედ ესე ვანიშნებდით «რეტვიზანს», სადა ვარდებოდა მისი ყუმბარები და საით უნდა დაემიზნა. იაპონელების ყუმბარები მოხვდა «რეტვიზანს», «პოლტავასა» და «პეტროპავლოვსკს», ხოლო ცოტად დააზიანა, თუმცა საშინელი სანახავი კი იყო, როდესაც ყუმბარა სკდებოდა. აი, სხვათა შორის, რა მოხდა: ასაფეთქებელ წამლის საწყობთან შეგროვილიყო ათი კაცი; იქვე იდგა მანქანა, რომელიც ნიშანს იძლეოდა, სად დაეცა ყუმბარები. ვნახოთ, ერთი ყუმბარა სწორედ იმ ადგილს გასკდა. წარმოუდგენელი რამ მოხდა. მე გონს მაშინ მოვედი, როდესაც მტვრისა და ქვის სვეტმა ყაზარმები დაჰფარა. ბანი ჩასტეხა. ჩემი რევოლვერი ორად იყო გადატეხილი, ტანთსაცმელი, საწოლი სულ დაფლეთილი,.. ეს უკანასკნელი სროლა იყო. იაპონელების გემები უკან გაბრუნდნენ»...

—

დიდ-ოკეანეს ფლოტის უფროსი ვიცე-ადმირალი 9 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე სწრაფის მატარებლით ვლადივოსტოკს მისულა. სადგურზედ მიჰგებებიან ვლადივოსტოკის პორტის უფროსი კონტრ-ადმირალი გაუპტი, ვლადივოსტოკის ესკადრის უფროსი კონტრ-ადმირალი იესენი და მრავალი ხალხი. სკრიდლოვთან ერთად ვლადივოსტოკს მისულა პორტ-არტურის ესკადრის უფროსიც ვიცე-ადმირალი ბეზობრაზოვი შემდეგ სკრიდლოვი წავიდა ნავთსადგურისა და გემების დასათვალიერებლად, «როსიაზე» პარაკლისი მოისმინა და იმავ ვაგონში დაბრუნდა, რომლითაც ვლადივოსტოკს მივიდა. (რ. ვ.).

—

«პეტროპავლოვსკზე» დაღუპულ მხატვარ ვერეშჩაგინის წერილიდან სჩანს, განსვენებულ ადმირალ მაკაროვს განძრახვა ჰქონია პორტ-არტურს გარშემო ისეთი სახიფათო რამ გაემართა, რომ მტრის გემები ახლო ველარ მოჰკარებოდა, ამისათვის იაპონელების მიერ ნავთსადგურის წინ ჩაღუპულ გემებისათვის სხვა უვარგისი გემებიც უნდა ჩაეღუპა და მხოლოდ ვიწრო გზა დაეტოვებინა თავისუფალი, რომელიც მხოლოდ რუსებს ეცოდინებოდათ. ერთი დიდი საგანგებოდ ამისათვის ნაყიდი გემი კიდეც ჩაუღუპავს იაპონელების გემებთან და ერთი გემიც დაუმზადებია, მაგრამ აღარ დასცალდა, რომ თავისი აზრი განეხორციელებინა. მაკაროვი ჰფიქრობდა, ამრიგად სრულიად უვნებელი შეიქმნებოდა ნავთსადგური და მის შესავალთან ღამეც კი გემებს აღარ დასჭირდებოდათ დარაჯობა (რ. ვ).

—

## ტფილისი

—

*** მოვაგონებთ მკითხველთ, რომ დღეს, 16 მაისს, ქართულს თეატრში სცენის მოყვარულთა მიერ, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მსახიობის ვალ. გუნიას დახმარებით წარმოდგენილ იქმნება თავ. სუმბათაშვილის დრამა „ღალატი“.

*** ხვალ, 17 მაისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება არ იქმნება, დღესასწაულისა გამო. კრება 20 მაისს არის დანიშნული.

*** წარსულის თვის განმავლობაში ტფილისის გუბერნიაში გადამდებ ავადმყოფობით 35 ადამიანი მომკვდარა. აქედან მომკვდარა: ყვავილით — 15, ყელჭირვებით — 6 და სხვ.

*** ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში წელს კურსი 18 მოსწავლემ დაამთავრა.

*** ბათუმის ოლქის გუბერნატორი მ. ნ. დრიაგინა ამ ჟამად ტფილისშია.

*** მოკლე ხანში ტფილისის ხელოსნობის მიერ არჩეულ კომისიას კრება ექმნება ავადმყოფთა დამხმარებელ კასის წესდების განსახილველად. კომისიამ სთხოვა ხელოსანთა მოურავს, ამ კრებაზე იურისტებიც მოიწვიეთო.

*** მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი ალექსი ხვალ, 17 მაისს, მიემგზავრება სოფელს ოლგინსკში, რომელიც ტფილისიდან 12 ვერსის მანძილზე მდებარეობს. ექსარხოსი იქ ახლად აგებულ ეკკლესიის შენობას აკურთხებს.

*** გავიდა დღეები და ქალაქის გამგეობამ ჯერ კიდევ ვერ აირჩია ადგილი, სადაც ქალაქის ცენტრალურ საელექტრონო სადგურის აგება შეიძლებოდეს. ამ დღეებშიც ჰქონდათ კრება ამ საგნის გამო ქალაქის გამგეობასა, ხმოსან ტეხნიკოსებს და საგანგებოდ მოწვეულ კაცთ ამ საგნის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ კრებამ გადაჭრით ვერაფერი დაადგინა. ამიტომ კრება ხელმეორედ იქმნება დანიშნული მოკლე ხანში.

*** მოვიდა ტფილისში ბათუმიდან კერძო კაცთა ექსპონატები, რომელიც სანდლუის მსოფლიო გამოფენაზე იქმნა გაგზავნილი. ექსპონატები კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო.

*** ტფილისის გამგეობამ გადასწყვიტა, დააჩქაროს ქალაქის ახალ საყასბოს აგება.

*** ქალაქის გამგეობაში აღიძრა საკითხი იმის გამო, რომ გაფართოვებულ იქმნას საპიორის ქუჩა. ზოგიერთ სახლის პატრონთ იმდენად გამოუწევიათ სახლები ქუჩისაკენ, რომ ქუჩა მეტად დავიწროებულა.

*** ტფილისში ისყიდება ესრედ წოდებული «სპარსული ლიმონადი» ქალაქის ქიმიურმა ლაბორატორიამ გამოიკვლია, რომ ეს ლიმონადი მოწამლულია და ცუდად მოქმედობს მომხმარებელთა ჯანმრთელობაზე. ამიტომ ქალაქის გამგეობამ განიზრახა, შუამდგომლობა აღძრას, სადაც ჯერ არს, რომ სრულიად აეკრძალოთ ამ გვარ ლიმონადით ვაჭრობა.

*** 23 მაისს დაიწყება ეგზამენები ყრუ-მუნჯთა სასწავლებელში. მოსწავლენი პირველ ივნისს იქმნებიან დათხოვნილნი. მომავალსამოსწავლო წლიდან ამ სასწავლებელ შიდაარსებულ იქმნება მესამე კლასი.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, დააკმაყოფილოს თხოვნა ლოტკის-გორის მცხოვრებთა, რომელნიც ახალხიდის გაკეთებას თხოულობენ. ქალაქის გამგეობამ ამ საქმისთვის 3.030 მანეთი გადასდო და დაადგინა, ხიდი, რაც შეიძლება, მალე გააკეთოს. ძველი ხიდი კი ამ ჟამად იმდენად მოძველებულია, რომ ზედ გავლა ძალიან უჭირდებათ.

*** როგორც მკითხველთ უწყიან, ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, ტფილისში, ალექსანდრეს ბაღთან, აგოს შენობა, რომელშიაც მოთავსებული უნდა იქმნას პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკა. შენობის მოსაწყობად გამგეობამ 17 ათასი მანეთი გადასდო, მაგრამ ყველა მოიჯარადრენი, რომელთაც შენობის აგება ნარდად უნდათ აიღონ, 17 ათასს მანეთზე მეტს თხოულობენ... ქალაქის გამგეობა კიდევ იქონიეს მსჯელობას ამ საგანზე.

*** დღეს, 16 მაისს, ტფილისში განზრახულ მებაღეთა საზოგადოების წევრთა კრება იქმნება კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

—

### ი. ზ. ბაქრაძის გარდაცვალებისა გამო.

—

ახლად გარდაცვალებულს ი. ზ. ბაქრაძეს ბაირონისა და ჰეინეს ლექსებს გარდა სხვაც მრავალი შესამჩნევი ნაწარმოები აქვს ნათარგმნი, რომელიც თავის დროზედ ვერ მოვიხსენიეთ.

მაგ. «ურიელ აკოსტა», გუცკოვისა; თვით ავტორისავე დახმარებით გაბრიელ სუნდუკიანცის შემდეგი პიესები: «პეპო» «კიდევ ერთი მსხვერპლი» «ხათაბალა» და სხვა.

სთარგმნა სომხურიდანვე პაწია ლექსი:

„ახ, მერცხალო, მერცხალო!“,

რომელიც თავის დროზე ძლიერ გავრცელებული იყო დაბალ ხალხში და აღტაცებითაც მღეროდნენ.

საკუთარი ლექსებიცა აქვს და სხვათა შორის «სიმღერა», რომელიც აგრეთვე თავის დროს ძალიან გავრცელებული იყო. რაც შეეხება იმ ლექსს, რომელიც გაზ. «ცნობის ფურცელმა» მიაკუთვნა: „ბრძოლა, ძმებო, ბრძოლა მამა-პაპური, თორემ მტრისგან ილუპება მამული“, — შეცდომაა. ეს ლექსი მ. გურიელისაა და არა ი. ბაქრაძისა.

—

## ჩვენებური ამბები

**ს. დარკვეთი** (შორაპნის მაზრა). ოდესმე ნაკლებად ცნობილი ს. დარკვეთი დღეს ყველასგან ცნობილი შეიქნა, ვინაიდგან მას გვერდით რკინის გზა უვლის და სადგურიც ამავე სოფლის სახელით არის მონათლული. დიდის იმედით შეჰყურებდნენ დარკველები ამ რკინის გზის გამოყვანას, მოულოდნელად ელოდნენ ორთქლმავალის ქშიტინ-ჴყვირილსა. ეჭვი არავის ჰქონდა, სოფელში დატრიალდება დიდ ძალი ფული, რადგან დარკვეთში შავი ქვის მადანია და, მაშასადამე, მუშტარი ბევრი გამოჩნდება და ჩვენც ადვილად გავმდიდრდებითო. სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ, ყველას აეშალა მალე გამდიდრების მადა-სადერღელი. ერთხანს, მართლაც, ძალიან მოძრაობა შეიქნა. ჰალებზე მდ. ყვირილას პირზე გამართეს კარგა ძალი დუქნები, (რასაკვირველია, სამიკიტნოები უმეტესათ), მოვიდნენ კაპიტალის მქონენი ინგლისელ-ფრანცუზები, იყიდეს შავი ქვის ადგილები და გამართეს მუშაობა მაღაროებში. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ქვა ნაკლების ღირსებისა გამოდგა და ამიტომ მუშაობაც შესუსტდა. აქედგან მედუქნეებსაც ზარალი მოუვიდათ და ზოგიერთებმა მიანებეს აქ ვაჭრობას თავი. საჩხერისკენ რკინის გზის გაყვანამ ხომ მთლად ანდერძი აუგო დარკვეთის მოძრაობა-ვაჭრობას: მანამდის მგზავრები მაინც ჩერდებოდნენ აქ, თითო-ოროლა ბოთლ ღვინოს უსაღებდნენ, ნამეტურ რაჭველები, რომელნიც დარკვეთზე გადმოდიოდნენ. ახლა კი ყველას ზევით მიაქანებს მატარებელი.

სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, როცა დარკვეთში კარგი მუშაობა იყო, მაშინაც რიგიანად ვერ ისარგებლა, უმეტესობა სრულიად დალარიბდა, დალატაკდა. მიზეზი ამისა იმაში უნდა ვეძიოთ, რომ მადანში მუშაობით და ფულის იოლად შოვნით დაიმედებულნი ადგილ-მამულის მოვლას აღარ დასდევდნენ, ღვთის ანაბარად მიატოვეს და სახიფათო შავ-მაღაროებში შეძვრენ მელებივით ფულის სიყვარულისა გამო. ცხადია დაუმუშავებლად ადგილმამული არას მისცემდა მათ და, რასაც იშოვიდნენ ფულს მადანში მუშაობით, ისევ სარჩო-საზრდოში უნდა მიეცათ და და აბა რაღა დარჩებოდათ? ზოგიერთი ოჯახს კი არ ახმარებდა ნაშოვნ ფულს, არამედ დუქნებში ხარჯავდა. «ვარალა-

---

## ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

—

### შ უ რ დ უ ლ ი.

(საკვირაო გაზეთი).

№ 17.

წელიწადი მეორე.

—

ჰკუა რომ ლხინშიაც მოსახმარია და ჭირშიაც გამოსადეგი, ეს დაამტკიცა ბერძნების მხედართ მთავარმა ქსენოფონტემ, როდესაც სპარსეთის მეფის კვიროს II-საგან დამარცხებულმა და უკუქცეულმა 10,000 მხედრობით მცირე აზიის (იგულისხმეთ კოლხიდა) მთა და ველი გადალახა. დამარცხდა როგორც სარდალი, მაგრამ იმავე დამარცხებაში ძლევა შეიმოსა, როგორც ისტორიკოსმა. მისი თხზულება «ანაბაზის», ანუ მაშინდელი ბრძოლა ბერძნებისა სპარსელებთან, ერთი უკეთესი განძთაგანია დღესაც ელლინთა საისტორიო სალაროში.

ბერძენ-რომაელთა მწერლებს ძველ დროში კარგად სცოდნიათ ჩვენი იბერიის და კოლხეთის სხვა და სხვა კუთხეები და პატარ-პატარა თემებად დაყოფილი ქართველთა ტომი ისე ნამდვილად აუწერიათ, რომ დღესაც კიდევ საგულისხმოა. მაგრამ ის სახელები, რომლითაც იხსენიებენ მათ, დღეს გადავარდნილია, გადასხვაფერებულია, და აღარ ვიცით, ვინ ყოფილან ისე მათგან დასახელებული ერები? მაგალითად: ხალიბები ანუ ქლიბები, თაბარენები, კორდუანები, მოვაკანები და სხვანი. ეს სახელები დღეს სწორედ ისტორიის გამოცანად არის გადაქცეული და საქმეს უჭირებს სიძველის მკვლევარებს, თუმცა მაინცა და მაინც თავსატეხი არა არის რა, რომ ჰკუას ძალას არ ატანდენ, სალოლიკო მოჭანდრაკობას თავს დაანებებდენ და პირ და პირ ფილოლოგიას მიჰმართავდენ!.. ქართული ენა დღესაც იმასავე ეტყვის მათ, რასაც ძველად ამბობდა. მაგალითად: ვინ იყვნენ და რომელი კუთხის მცხოვრებნი, კოლხეთში მოხელეებად დასახელებული და ცნობილი ხალიბები, ანუ ქლიბები?

აი რას გადმოგვცემს, სხვათა შორის, ესხილე 525—456 ქ. წ. «პონტის მარცხენა მხარეზე სცხოვრობენ რკინის მოხელე ხალიბები, აკეთებენ რკინის ხელსაწყოს, რომელსაც ქლიბი ჰქვიან და მოაქვსთ ელლადაში გასასყიდადო.» ამასვე ამტკიცებს აროანე ნიკომიდელი: «ყველაზე უმალ ხალიბებმა შეისწავლეს რკინის ხელობაო». დღესაც კიდევ ისევ არის ჩვენში, რაჭის მაზრაში ერთი მთა, გული რკინის მადნისა აქვს და უხსოვარ დროიდან ირგვლივ მცხოვრებნი მჭედლობის მეტს არას აკეთებენ. ამ მთას «წედისი» ჰქვიან, ანუ «ჭედისი». რომლის ძირიც სიტყვა «ჭედისაგან» წარმოსდგება.

ვინ არიან «შუანები»? — ვინ და დღევანდელი სვანები ანუ შუანები, როგორც შუაგულ კავკასიონის მცხოვრებნი. და ვინღა არიან «თაბრენი», «მოვაკენი», «კორდუანნი» და სხვანი? ამაზე მეც დიდხანს ვფიქრობდი და, ლოღიკის საჭადრაკო უდაბურში თავშერგული მახვილ-გონიერების მხედარს აბდა-უბდა, აქით-იქეთ ვასკუპებდი, სანამ ერთმა ძველმა ხელნაწერმა არ ამიხილა თვალი: «ქილილა და დამანაში» ერთგან არის ნათქვამი: «შეჰყარა ხელმწიფემან მთელი მისი სამეფო. მოატყდა ყოველი კუთხის მცხოვრები: მთაბარელნი, მოვაკენი, კორდოვანნი და სხვანიო». და აი ესეც თქვენი ბერძნული «მოვაკანი», «თიბარენი» და «კორდუანი!» ესე იგი მთაბარის მცხოვრებნი, ვაკეზე მოსახლენი და კორდებზე მცხოვრებნი და სხვანი.

შეიძლება, მკითხველმა სთქვას ჩემზე: რას მიედებ-მოედები? სად ეს რაღაც, ვითომდა, ისტორიული ბოდვა და სად «შურდული»? და კიდეც ეს არის, რომ ხშირად რაც არა გვგონია ის არის და, სადაც არ ვფიქრობთ, იქ არას!.. შურდულსაც ბერძნების ძველ თქმულობაში აქვს თავი ამოყოფილი!.. აი რა სწერია «ანაბაზისში», სხვათა შორის: «პონტის პირად, მოვაკანების ზემოდ, მაღლა სცხოვრებენ «თაბარენი», ქვის სროლია ხალხი: ქუდებით გასტყორცნიან ხოლმე ქვა-კაჟებს და, გზაში რომ დაგვიხვდნენ, ჩვენც მეტად შეგვაწუხესო». ნეტავ რა უნდა ყოფილიყო ეს ქვის სასროლი ქუდი? რა და იმერული ფაფანაკი!... წარსულ საუკუნის შუამდინ, მე თვით მომსწრე ვარ, იმერეთში დიდსა და პატარას, ყველას ფაფანაკი ედვა თავზე. ის იყო ტყლაპივით რბილი, აბრეშუმის ან შალის ერთი ხელის დადება რაღაც ნაფლეთი, რომელიც თავსა ჰფარავდა, მხოლოდ კეფას, და გაჩეჩილ თმასაც უჭერდა, რომ არ გაბურდულიყო, მაგარის საყბაურით. და საყბაურიც ყბას ქვემო იყო ამოდებული და ყურებზედაც გადაგდებული.

დღეს რომ ქუდ-ბოხოხას ხმარობენ ჩვენში, იმას ძველად ან სიახლოვეს ვინ მიიკარებდა? რად უნდოდათ, რომ არ გამოადგებოდათ: მაშინდელი იმერელი იმერეთის ხშირ ტყეებში უნდა გამძვრალიგამომძვრალიყო და ქართულს ანუ, უფრო სწორედ ვსთქვათ, თათრულ ქუდსაბუდარას, როგორ დაიმაგრებდა თავზე? ფაფანაკი კი სალტე იყო და იმავე დროს «შურდულიც». დღეს აღარც შურდულია და აღარც ფაფანაკი!..» ან კი რაღა საჭიროა, როცა თავზე თმა აღარავისა რჩება და ადამიანის გასაჟლეტ-გასაწყვეტ იარაღად ყუმბარა-დინამიტებია გამოგონილი?

უნდა გამოვტყდე, რომ ყოველ გვარი იარაღი, რაც კი ადამიანის სავნებლად არის გამოგონილი, «მეჯავრება» და თუ არჩევანში შეუსვლელობა აღარ მოხერხდება, ყველას ისევ «შურდული» მირჩევნია. თუმცა ადამის ხნისაა, მაგრამ მაინც ღვთისაგან ნაკურთხია. ბიბლია (დაბადება) გადმოგვცემს, რომ პატარა დავითმა — მწყემსმა, და მერე კი დიდმა დავით მეფემ — წინასწარმეტყველმა, შურდულით გააგორა უზარ-მაზარი გოლიათი, ებრაელების გასაჟლეტად მომდგარიო». არა, რა ბრძასებაა?! სად ძველი დროის იარაღი — შურდული — და სად დღევანდელი ყუმბარა და დინამიტი? დგახარ სადღაც შორს შენთვის, მტრის სუნიც არ მოგდის, თვალით ვერას ჰხედავ და ყურში არა გესმის რა. უცბად დავარდება ყუმბარა, გასკდება, ათას ნაფლეთად იქცევა და ირგვლივ მუსრს ადენს. ან და იჭექებს დინამეტი და ძვალსა და რბილს თვალის დახამხამებამდე აერთიანებს!... იქ აღარ გომოდგება არც გულადობა და არც სისწრაფე! შურდული კი უფრო ლმობიერია: იმდენად არა ჰკლავს კაცს, რამდენადაც აშინებს. მართალია, თვალით არც შურდულის გამონატყორცი ქვა იხედება, მაგრამ სამაგიეროდ მისი ზუზუნი მაინც გესმის და შეგიძლია ჩამოეცალო, თავი მოარიდო. სწორედ რომ კარგი საფთხილობელია! ვსთქვათ, კაცი ვინმე მიდის საბოროტოზე. უნდა ცუდი საქმე ჩაიდინოს! ერთიც ვნახოთ წინიდან დაუხვდა შურდული! რაღა თქმა უნდა, რომ გაბედვით ველარ წასდგამ წინ ბიჯს?! ან და საკეთილოზე მიდის ვინმე ზარმაცად, მაგრამ უღალატა თავს და უკანვე დაბრუნებას აპირობს, უკანიდან მიაყოლებენ შურდულს და იმასაც მეტი გზა აღარ ექმნება!... უნდა გასწიოს პირ და პირ!... არა! არა! ვინც რა უნდა სთქვას და შურდული დღესაც კიდევ გამოსადეგია, ვინც კი კარგად მოიხმარს!... ეს საზოგადოდ! და ამავე აზრისა ვარ მე კერძოთაც სამწერლო „შურდულზე“ და ჩვენ „საკვირაო შურდულსაც“ სასარგებლოდ აღვიარებ:

მძულს დინამიტი, ყუმბარა,
შორს მიმავალი, ქურდული!
მიყვარს, ნატეორცნი, ზუზუნა,
მოპირდაპირე შურდული.
არა ჰკლავს!... ისე აშინებს
შორიდან ორგულს და მტერსა!...
მოხვდება მკრად, დაჰჭდავს,
ცხვირ-პირში აყრის მას მტვერსა!
ბევრიც იჯავროს, რას იზამს?
ხელს ვერ შეატანს ნატყორცსა!...
მოხვდება, კანსაც აუწვამს
და დაუწყლულებს თან ხორცსა!...
მიტომ გიგონებ, შურდულო,
მახვილო დავითისაო!...
დაბლა მტრის მომგერებელო,
მაღლით ნაკურთხო ღვთისაო!

—

დიახ, ვერ დავფარავ, მომწონს შურდული და ერთს დროს მარჯვედაც ვხმარობდი: საითკენაც კი გავისვრიდი, მაღლა თუ დაბლა; ოდა-სარაიებისკენ, თუ ფაცხა-ხულებისკენ, არ დამცდენია! ნიშანში მიმყავდა დაკენჭულ დაწყლულებული მტრები, თავ-კოპიანები შორიდან თუ მემუქრებოდენ, თვარა ახლოს მიკარებას ვერ მიბედავდნენ! და ახლა!... ჰმმმ!... მართალი უთქვამს მოლა მასრადინას: «ვისაც ჩემი სიყმაწვილე არ ახსოვს, იმას ღმერთმა ნუ უჩვენოს ნურც ჩემი სიბერეო». ასეა ჩემი საქმეც! მაგრამ ნათქვამია: «ერთი იმ თავითო და ერთიც ამ თავითო!» ვსცდი კიდევ ბედის-წერას:

მივუბრუნდები შურდულსა,
გავკრავ და გავაზუზუნებ!..
ზოგს გავაცანებ მოყვრულად,
ზოგს მტრულად ავაწუწუნებ.

—

სამტრო-სამოყვროდ პირიდად
დრო არ მაქვს!.. არა მცალიან!
ქვეყნის მოყვარე და მტერი,
კაცია განა ქალია,

—

რისაც ღირსია, მივუძღვნი!..
სამართლისათვის ერთია!..
იმათ შურდული გაარჩევს
და შემწეც მაღლით ღმერთია!..

—

ვიტყვი, რაც არის სათქმელი. .
მათქმევინებენ რასაცა!..
ვინც უნდა დამგმოს... მაბეზღოს,
ვფიცავ, არ გავსცემ ხმასაცა!..

—

ვარდს დავთესე, ეკალს მოვიმკი...
ეს საზოგადო წესია!..

ლოს ჰვაიძახოდა და სახლში კი ცოლ-შვილი ან დედ-მამა მშიერ მწყურვალად ჰყავდა მიტოვებული. ან კი რა ხეირი დაეყრება მას, ვინც დედამიწას ლალატობს, ვინც არ უვლის და პატრონობს? მერე სად მაღაროებში მუშაობა, სხვის ხელში შემაცქერლობა და სად გაშლილ ჰაერზე შენი მიწა-ადგილის დამუშავება! საზოგადოთ ჩვენი კაცი უანგარიშოა, ათი შაურისა და სამი აბაზის გულისთვის შორს გადიკარგება სადღაც და იმას კი არ ფიქრობს, რომ თავის სახლში სამჯერ მეტი სადირალი საქმე უხდება ესეც უნდა ვსთქვათ რომ დარკვეთი წარმოადგენს უმეტესათ მწირ ადგილს, მაგრამ ვენახისთვის კი ეს ადგილი საუცხოვოა და კარგი იქნება ამას დაუკვირდნენ და უმთავრესი ყურადღება მიაქციონ ამ დარგს მეურნეობისას.

სოფლის ასე თუ ისე დაწინაურების საზომი არის ეკკლესია და სკოლა. სადაც სოფელი სოფლობს და ადამიანი ადამიანობს, იქ კარგი თლილი ქვის და მასთან საკმაოთ ვრცელი ეკკლესიაა აგებული და მის გალავანში კი ლამაზი, სოფლის სიბნელეში შუქ-შემტანი სკოლაცაა გამართული. დარკველებს სკოლა არა აქვთ, (თუმცა მათ მეზობელ სოფელში—ბოდში არის სამინისტრო სკოლა, მაგრამ აქედგან არავინ დაიარება) და არც ფიქრობენ, თუ საჭიროა მათთვის სკოლა. რაც შეეხება ეკკლესიას, ეს კი აქვთ, მაგრამ ერთობ პატარაა, 30—40 კაცი თუ დაეტევა შიგ და ისიც გაჭირვებით, ასე რომ პირჯვრის დაწერა და მეტანია შეუძლებელია, ხალხი ერთმანეთზე მიხუტულია, როგორც გალიაში დამწყვდეული ქათმები, და ისე ისმენენ წირვა-ლოცვას. მართალია, დასავლეთ სამხრეთიდგან მიშენებული აქვს ამ საყდარს კედლები ოთახივით, მაგრამ ერთობ უხერხულად არის, ასე რომ იქ მდგომთ წირვა-ლოცვის არაფერი ესმით და ერთმანეთის ბაასით ერთობიან. საყდარი უხსოვარ დროს არის აგებული, ამბობენ თამარ მეფის დროსაო, წარწერა აქვს საყდარს დასავლეთის მხრით გარედგან, რომელიც ვერავინ ვერ გაარჩია, კარგი იქნება, მცოდნე კაცი გაირჯებოდეს და გაიგებდეს შინაარსს იმ წარწერისას, (ეგებ გაგებულიც აქვთ, ესეც არ ვიცით). აქვე იპოვება ტყავზე ხელთნაწერი წიგნები,—მაგრამ ზოგი წიგნები დაფურცლულია.

დარკვეთში ახალი საყდრის აშენებას შეუდგნენ, მაგრამ უსიამოვნება ჩამოვარდა და დღესაც საყდრის აშენების საქმე შეჩერებულია.

## საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობა ძველად

### გრიგოლ ლუკას ძე ხურსიძე და სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილი ინდოეთში და მათი ალებ-მიცემა.

ზოგნი ამტკიცებდნენ და დღესაც ამბობენ, რომ ქართველებს მრეწველობისა და ვაჭრობის შნო სრულებით არა აქვთო. ეს მართალი არ არის. ქართველნი ვაჭრობას და მრეწველობას შეჩვეულები იყვნენ ძველადგანვე. საქართველოს გარეშეც-კი ვაჭრობდნენ. ვაჭრობდნენ და ალებ-მიცემობდნენ სპარსეთს, ავღანისტანს, ინდოეთს, ოსმალეთს, აზიის სხვა ხალხსა და ქვეყნებშიაცა და მასთან ევროპაშიაც.

მოგეხსენებათ, რომ ინდოეთი ევროპამ XVI საუკუნეში გაიცნო მხოლოდ და ისიც ოდნავ. ქართველნი კი ინდოეთს და მის მფლობელს ინგლისს ძველადგანვე იცნობდნენ. ქართველებმა ვაჭრობისთვის ინდოეთში თვით საშუალ საუკუნოებიდანვე იწყეს მგზავრობა, ვაჭრობა და მეცადინეობა ამ ასპარეზზედ.

XVIII საუკუნის დამდეგიდამ ქართველთ აშკარად იგრძნეს ვაჭრობის საჭიროება. ამ საუკუნის ნახევარს რუსეთის მთავრობამ ეკატერინოდარში იარმუკობა დააწესა; წელიწადში ერთხელ იმართებოდა იარმუკობა და იქ საქართველოს ვაჭრებიც მიდიოდნენ, საქონელი მიჰქონდათ და იქ ვაჭრობდნენ; იქიდამ საქართველოში სხვა საჭირო საქონელი შემოჰქონდათ. იმ ხანად ქართველთ შორის ბევრი რამ საჭიროება დაიბადა და აღორძინდა. ერთი ამ მრავალთაგანი გახლავსთ შაქრის საჭიროება, საქართველოში შაქრის ქარხნის დაარსება, აგრედვე ქაღალდისა და ნართისა.

მოსძებნეს კაცი და ინდოეთში გაჰგზავნეს რაფიელ დანიბეგოვი, ქართველი კათოლიკე, ტფილისელი აზნაური და მასთან რამდენიმეც სხვა ქართველნი მადრასესა და კალკუტაში მცხოვრებ მდიდარ ინდოელ ვაჭრებსა და მექარხნეებთან მოსალაპარაკებლად ტფილისში ზოგი ერთ საჭირო ქარხნის დაარსების გამო.

პირველი მგზავრობა ქართველთ ვექილ-დესპანებისა 1760 წ. მოხდა. ამ დროდამ იწყება საქართველოს მიწერ-მოწერა ინგლისის მთავრობასთან და გრძელდება 38 წლის განმავლობაში. მიწერ-მოწერას დასასრულ-საზღვარი დაუდო მეფე ერეკლე მეორის სიკვდილმა. საქმე სხვაფერ მოეწყო 1798 წლიდამ. უკანასკნელად იქ გაგზავნილ იქმნა რაფიელ დანიბეგოვი, რომელიც ინდოეთიდამ საქართველოში 1799 წ. დაბრუნდა. 1800 წ. შემდეგ, საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან, რაფ. დანიბეგოვი რუსეთში გადასახლდა და თავის მოგზაურობა საქართველოდამ ინდოეთამდის რუსულად სთარგმნა და 1810 წ. მოსკოვში ცალკე წიგნათაც დასტამბა.

საქართველოდამ წასულ სამეფო ელჩებს ხელს უწყობდნენ დიდათ საქართველოს ვაჭრები და ნამეტურ ქართველთ კათოლიკენი, რომელნიც ალებ-მიცემის საქმეს ადგნენ და ინდოეთში მსვლელობა ძველადგანვე ჰქონდათ, კალკუტასა და მადრასეში; მათთვის ცალკე ქართველთ ვაჭართ ქარვასლებიც კი არსებობდა. ასეთ ვაჭრების საშუალებით ინდოეთში მალე გამოსჩნდა მადრასეს და კალკუტის მცხოვრები მდიდარი მილიონერი ვაჭარი, სომეხი, იაკობ შახრიმიანი, რომლის მამა-პაპანიც ძველადგანვე ყოფილან იქ მისულნი და გამდიდრებულნი ვაჭრობით.

ბევრის მიწერ-მოწერის და თათბირის შემდეგ ინდოეთში დამყარებულმა ინგლისის მთავრობამ შეიწყნარა საქართველოს მეფის თხოვნა და იაკობ შახრიმიანს ნება მიეცა საქართველოში გადმოსახლებისა, თან 10,000 ინდოელის გადმოყვანისაცა, საქართველოში შაქრის ლერწმის მოყვანისა, შაქრის ქარხნის დაარსებისა საქსოვ-სანართე ქარხნების გახსნისა და ბევრიც სხვა ამ გვარ საჭირო საქმეთა შემოღებისა.

ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკებას მარტო სავაჭრო და საქარხნო საქმე არა ჰქონდა, არამედ საქართველოს სამეფოს პოლიტიკურს მდგომარეობასაც შეეხებოდა. საქართველოს უნდოდა ინგლისის მფარველობის ქვეშ ყოფნა, ჰლამოდა თითქმის კავშირის შეკრასაცა. ინგლისის მთავრობაც თანხმა იყო და ამიტომ ბეჯითი მიწერ-მოწერაც გაიმართა. სამწუხაროდ, ამ მიწერ-მოწერის მასალა ჩვენის ისტორიისათვის მთლად დაკარგულია; 1795 წლის შემთხვევამ მოსპო ესე ყოველივე. ამ საგნის შესახებ ვიცით მხოლოდ ის-და, რაც მოხდა შემდეგ.

ვაჭრობის გარეშე აი რას ემუდარებოდა ინგლისის მთავრობას საქართველო: საქართველო ინგლისის მფარველობას იკისრებს და თავის არსებობას მის გამგეობისა და დახმარების ქვეშ აღიარებს. საქართველო ემორჩილება ინგლისსა, იცავს თავის სამეფო არსებობას და ინგლისის მთავრობის დახმარებით მფარველობს კავკასიის ყველა დავრდომილ ქრისტიანეთა; ყველა ამისათვის ინგლისის მთავრობა სრულს დახმარებას უწევს საქართველოს და სალსარს აძლევს აღორძინებისას. ამ დაპირების აი ზოგიერთი მუხლებიც:

1) ინგლისის მთავრობა საქართველოს მფარველობას უწევს. 2) საქართველოს სამეფოს აძლიერებს; სამეფოს აძლევს სალსარს ნივთიერად. მთელს ევროპის სახელმწიფოების წინაშე საქართველო ცხადდება სამეფოდ და მის მეფენი კანონიერ ქრისტიან მეფეებად. 3) საქართველოს სამეფო დედა ქალაქში უნდა იყვნენ ევროპის სახელმწიფოთა ელჩები. საქართველოც ჰნიშნავს თავის ელჩებს ევროპიელთ სახელმწიფოებში. 4) საქართველოში ინგლისს შეაქვს სამხედრო სწავლა, აკეთებს სამხედრო სახლებს, სასწავლებლებს, იკრიბება საყოვლთაოდ ჯარი, მათ მასწავლებლად ინიშნებიან ნასწავლნი ინგლისელნი. 5) წესდება სამოქალაქო რიგი, იმართება საზოგადო განათლების სასწავლებელნი, ფოსტა და გზის-მცველნი. ყოველ ხარჯის დასაფარავად ინგლისი აძლევს დახმარებას. საქართველოს მეფე დახმარებას აძლევს სომხებს და უკანასკნელ, როცა მშვიდობიანობა დამყარდება, საქართველოს მეფე გამოცხადდება სომხეთის მეფედაც. 7) ინგლისის მთავრობა საქართველოში ჰგზავნის ნასწავლ კაცებს, მხედრებს, ხელოსნებს. ესენი საქართველოში ამყარებენ ევროპიულს წესრიგს, იაკობ შახრიმიანს ეძლევა ნება, რომ საქართველოში გადასახლდეს თავის ქონებით და 10,000 მონა ინდუსებით. ასევე უნდა მოსულიყვნენ სხვა ვაჭრები, მრეწველნი და ტფილისში უნდა დაეხსნათ სხვა და სხვა ქარხნები და სავაჭროები.

ამ საქმეთა მოწყობის პირობები იმავ დროს წიგნათაც დასტამბეს ინგლისურსა და სომხურს ენაზედ. ამ წიგნის ერთი ცალი მეფე ერეკლეს გამოუგზავნეს და აცნობეს პირობები. ერთი ცალიც სომეხთა იმ დროის კათოლიკოზ ლუკას და ერთი ცალიც ხელმწიფე იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს. ინგლისის მთავრობა ამ წიგნით რუსეთის იმპერატრიცას ავალებდა ამ საქმეში მონაწილეობის [illegible] რადგანაც თქვენ ქრისტიანი ხელმწიფე ბრძანდებით და [illegible] ხართო. თქვენ შეგეძლებათ, საქართველოს აღორძინებას დახმარება მისცეთო.

ეს პირობები მეფე ერეკლეს დიდათ მოეწონა და იაკობ შახრიმიანს თავადიშვილობა უბოძა და მასთანვე აჩუქა საკუთრებათ მთელი ბორჩალოს მაზრა. იაკობ შახრიმიანმა მეფეს ასეთის პატივის ცემისთვის ინდოეთიდგან ძვირფასი ძღვენიც მოართვა.

გ. ჯ.

(შემდეგი იქნება)

## რუსეთი

ციმბირი მოუწყობელი ქვეყანაა. იქ როგორც ბევრგან სხვაგანაც. არ არის შემოღებული არც საერობო დაწესებულებანი, არც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და სხვა. ციმბირს-კი, როგორც ამ ომმა აღმოაჩინა და როგორც ამბობს გაზ. «ნ. ვრემია» დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის. ციმბირის დატოვება იმ ყოფაში რომელშიც არს ეს ქვეყანას ამ ჟამად, შეუძლებელია. იაპონიამ კარგად იცის ციმბირის დავრდომილობა, უკან ჩამორჩენა და დაიწყო თვისი მაქმედობა ისე, როგორც მისთვის სახეირო იყო.

აი ერთი მაგალითი, იმავე გაზეთში მოხსენებული, რომელიც ცხადად ამტკიცებს ციმბირის დაცემას, ციმბირის გონებრივს სიბნელეს და ზნეობრივ უკან ჩამორჩენას. ქ. მარიინსკში მღვდელსა და მის ნათესავებს შეედგენიათ მთელი ბრბო ყაჩაღებისა, რომელიც სძარცვავდა ხალხს და ჰხოცავდა, ვინც მოხვდებოდა, გაძარცვის აზრითა. ნაძარცვსა და ნადავლს მღვდელი ინახავდა. რამდენჯერმე დაიჭირეს ბრბოს მოთავე, ერთი თავზე ხელ აღებული ნათესავი მღვდლისა, მაგრამ სხვა ნათესავებმა ხან ისე მოახერხეს, რომ განთავისუფლეს, ხან შეძლება მისცეს გაქცეულიყო ციხიდან. ასე იყო საქმე მანამდე, სანამ მისგან გაძარცულის ტყვიამ ბოლო არ მოუღო ამ ბრბოს მეთაურს. ახლა ყველა მონაწილენი ბრბოსი და, სხვათა შორის, მღვდელიც, რომელიც გზას ულოცავდა ხოლმე, როცა საავაზაკოდ მიდიოდა, კატორგაში არიან გაგზავნილი.

---

არ გამტეხია ჭურ გული,
თუმცა კი დამიკვნესის.

—

მივმართავ ისევ შურდულსა,
გავკრავ და გავაზუზუნებ,
თუ კი მოყვარეს ვაცინებ
და მტერს კი ავაწუწუნებ.

## სხვა და სხვა ამბები.

ტფილისიდან გვატყობინებენ: «მადლობა ღმერთს! გამოიღვიძა საზოგადოებამ. ჩვენი ქალებიც გამოვიდნენ სამოქმედო სარბიელზე. ამჟამად აქ დიდი მოძრაობა და ფაცა-ფუცია ქალების: საცვლებსა ჰკერავენ და აგროვებენ. და ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ მათ შრომა-მოღვაწეობას სარჩულად ქველმოქმედება უძევსო». მართლა, რომ სასიხარულოა ამ ამბის შეტყობა... პატივი და დიდება ჩვენ ქალებს, თუ მათ საქმიანობას მოსაზრება და ქველმოქმედების გონიერება არ აკლია და უბრალო მოდა-წამხედურობა არ არის!... ამას წინად ერთი ჩემის ნაცნობის ოჯახში მივდიოდი. მის სახლის კარებთან ოცდა ათამდი მეტი ფაიტონი იდგა. ვფიქრობ: ეს რა ამბავია? მეჯლიში ხომ არ გაუმართავთ-მეთქი? კიბეზე რომ ავდიოდი, რაღაც ჩახა-ჩუხი მომესმა და შევჩერდი. ბიჭოს! ეგებ ის ჩემი ნაცნობები აქ აღარა დგანან, გადასულან სხვაგან და აქ კი ქარხანა რამე გადმოუტანიათ-მეთქი? შევიხედე ზალაში და რა ვნახე? მიჯდომოდენ მზეთუნახავები საკერავ-მანქანებს და საცვლებსა ჰკერავდენ. სულ მარტო პერანგის ამხანაგებს კი... პერანგი ერთიც არ რეულა. დავეკითხე ქალებს: რა არი, რომ მარტო ქვედა საცვლებს ამზადებთ და ზედას კი არა მეთქი?

—იმას მერეც მოვესწრებითო. ეს უფრო სასწრაფოაო!—მიპასუხეს.

—ეგ კარგი, მაგრამ აქ, გარეთ, რომ ფაიტონები გაგიჩერებიათ, რა ამბავია?

—გვიან ვიშლებით!.. ნაშუადღევის ორსამ საათზე ვბრუნდებით შინ და მაშინ ფაიტონების შოვნა ძნელია... და ქვეითად ხომ ვეღარ წავალთ?

—კი მაგრამ, თუ ქველმოქმედებაზეა მიმდგარი საქმე, რაც იმ ფაიტონებში ქირა მოგდისთ, ის რომ პირდაპირ გაუგზავნოთ იმათ, ვისიც დახმარება გინდათ ვითომ, უფრო სასარგებლო არ იქნება?

—მართალია, მაგრამ ესეც იყოს და ისიც!..

—მაგას გარდაც... ამისთანა დიდი განიერი საცვლები რომ გამოგიჭრიათ, ზომა თითქოს ცნობილ სარდლის ტანზე აგეღოსთ, განა ყველა ისინიც ახოვანი, გოლიათები არიან?

—არა, მაგრამ ეს საცვლები ზორტებით კეთდება და ვინც ჩაიცვამს ამ ჩვენ ნახელავს, უნდა დააგძელებს და უნდა დაამოკლებს... ყველას ერგებაო!..»

სრული სიმართლე მითხრეს და მეც მეტი რაღა მეთქმოდა? გავჩუმდი, მაგრამ ერთი ძველი ამბავი კი მომაგონდა:

ყოფილა ერთი ქალი ჩვენში, სახელად თინია და მეტ სახელად «თითისტარა» დაურქმევიათ. ეს თინა-თითისტარა თურმე საოცარი გამრჯელი ყოფილა. დილიდან საღამომდე სულ ფეხზე იდგა და ჯარასავით ტრიალობდა. მაგრამ ოჯახს კი არას არგოდა!.. სულ გარეშეებზე იყო გადაღეული და შინ კი ქმარ-შვილი შიშველ-ტიტველი დაუდიოდა. მათი გულისათვის ნევსის კურწში ძაფსაც არ გაუყრიდა ხოლმე, არ მცალიანო!..

თინია-თითისტარაო
ტრიალობს როგორც ჯარაო!—
სხვებისთვის ნამეტანია.—
თავისთვის არა გშარაო!

—

ტრიალობს მეტი ჩქარაო,
იძახის: ჩქარა! ჩქარაო!
წელში გამწყვიტა საქნარმა,
თუ არ ვინ მომეხმარაო.

—

თინია-თითისტარაო,
რა ცოდვამ გაამწარაო,
რომ ოჯახს აღარ არგია
და არც თუ სხვაგან გშარაო!..

უნდა გამოვტყდეთ, რომ დღეს ჩვენში ძალიან გამრავლდენ თინიები და აღარ ჰგვანან იმ თინათინებს, რუსთველმა რომ დაგვისურათა. ისინი, საომრად რომ გმირებს გაისტუმრებდენ ხოლმე, მახვილს ულესავდენ და გასამხნევებლადაც ძვირფასს რაიმე ნიშანს თან ატანდენ. და ესენი-კი, მეტი რომ ვეღარა მოუხერხებიათ-რა, საცვალს უგზავნიან. არ გაგიცივდესო!—თბილად შეინახეთ მუხლის თავებიო!. ეჰ, რა გაეწყობა—«სადაც არ იყოსო, ცოტაც კმარიყოსო», ნათქვამია. და ამ ცოტასთვისაც «ვაშა» ჩვენ დღევანდელთ თინიებს.

ქუთაისიდგან იწერებიან: უეჭველია, რომ დიდი შიმშილობა ჩამოვარდება ჩვენში და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ჩვენის უგუნურებითა და მოუფიქრებლობით იქნება ის ღვთის-რისხვა გამოწვეული. ზოგს, რომ ცოლ-შვილი არ გაუწყდეს, უნდა მუშაობა ჩვეულებისამებრ, მაგრამ სხვები არ ანებებენ: გინდა თუ არა თქვენც ჩვენთან უნდა დაიჭოთ ხელი, არ გაანძრიოთო! იმ დალოცვილებს, გაუგონიათ: უცხოეთში, ფაბრიკების მუშები ხან-და-ხან შეაჩერებენ ხოლმე მუშაობას, რომ კრიჟანგსა და გულ-ქვა ბურჟუას მეტი ქირა, ჯეროვანი ხელფასი გამოართვან ხოლმე! და ესენიც წამხედურობით, რადგანაც ფაბრიკები არ არის ჩვენში, მიწათ-მოქმედებაზე მიაქვსთ იერიში, რომ თვისივე სამშობლო გააღარიბონ! ეს ამბავი სწორედ, რომ სამწუხაროა და ერთ არაკს მოგვაგონებს:

ერთხელ ინდაურსა და ქათამს ჩხუბი მოუვიდათ საკენკზე. ქათამა უთხრა—შუა გავიყოთ საკენკიო! ინდოურმა უპასუხა: ეგ უსამართლობა იქნებაო!. მე შენზე დიდი ვარ და ჭამაც მეტი მინდაო!..

—ჭამა ქონებაზეა დამოკიდებული და ქონება-კი შრომაზეო—მიუგო ქათამმა,—შენ მართალია ჩემზე დიდი ხარ, მაგრამ ცარიელი სიდიდე რა სახსენებელიაო? მე მართალია, შენსავით ფარშავანგულად ბოლო-ფრთებს არა ვშლი, არც ვიბერები და არც ცხვირი ჩამომიშვია. მაგრამ კვერცხის დებაში მაინც გჯობივარო!.. შენ მარტო გაზაფხულზე დაიწყებ კვერცხის დებას და მაშინ ათამდი თუ დასდებ მეტს ვეღარო. მე კი წლის განმავლობაში ასს გადავაცილებ ხოლმეო. მე ყივილი მაინც ვიცი.. განთიადისას მუშას გამოვაღვიძებ ხოლმე და შენ კაკანიც არ გეხერხებაო!. და ჩემზე მეტს საზრდოს რათ უნდა ითხოვდეო?—ამან ეს უთხრა, იმან ის და ეძგერენ ერთმანეთს. გაიძვერა ცარაცინი კი სეირს უყურებდა და ორივეს უჩხიკვინებდა, ერთს მეორეზე უსისინებდა.—ბრძოლის დროს ისე დაიღალენ ინდაურიცა და ქათამიც, რომ საერთობო აღარ ჰქონდათ. მოვიდა სხვისი ძაღლი და ორივეს პირი წაავლო. ცარიცინს ეგონა, რომ იმათი საბუდარიცა და საკენკიც საკუთრად იმას დარჩებოდა, მაგრამ მოსტყუვდა. ინდოურ-ქათმების ადგილი ბატებმა დაიჭირეს და ცარიცინს კი რაც ჰქონდა, ისიც დაეკარგა. ამ ამბავისა არ იყოს, სამარცხვინოდ ჩვენ წინაპრებთა დღეს მართლა იპოვებიან ჩვენში ინდოურა-კეთილშობილები, მარტო სიდიდით, რომ თავი მოაქვსთ... მაგრამ ყველა ხომ ბაჩანები არ არიან... შრომის შვილები მათშიდაც მოიპოვებიან და მათი ერთმანეთში არევა უსამართლობა იქნება და დიდი შეცდომა!... დიდი ვარ და დიდი ჭამა მინდაო და შრომა კი მეზარებაო. ამას ვინც იტყვის გიჟი იქნება! და გიჟებზედ ლაპარაკი არა ღირს!... აბა რა სახსენელები არიან ინდოურა გვარ-ქართველები? მაგრამ განა ის ქათმები კი ვარგან, შინ რომ კაკანობენ და კვერცხებს კი სხვაგან დებენ!... საბუდარი რომ ვეღარ გაურჩევიათ? ორივესაგან ღმერთმა დაგვიფაროს! და დღევანდელ შიმშილობაც ამათი ბრალია, ორივეს თანასწორად ჰკითხოს ღმერთმა! მეტს ამხანად აღარ ვიტყვი რადგაც მეტად გაგვიგრძელდა შურდული. და მხოლოდ სხვებზე მომტირალ-მკვნესარი ჩემ თავზედაც ამოვიოხრებ და ნაღვლიანად ჩავიღიღინებ, ამ ცუდი დროს მომწრე:

უკუღმართო ბედის წერავ!
რა სიბერეს გადამკიდე?!
რაც დიმილით მითესია,
აწ ცრემლებით უნდა ვმკიდე?

—

სულის ჩამდგმელ-ჩამტკბობელო,
რად გამიქრა მე ოცნება,
სასოება, სიყვარული,
ბრმა რწმენა და წმინდა მცნება?

—

მას შემდეგ, რაც უნებურად
ამეხილა მე ბრმას თვალი;
დავინახე ვარდში გველი,..
გამიქარწყლდა იდიალი!.

—

და აღარ მრწამს სათვალთმაქცო
ყალბი გრძნობა, ფუჭი ჭკუა,
ცრუ ოცნება, ცრუ სიწმინდე
და არც სხვა რამ!.. ყველა სტყუა!...

—

არის მხოლოდ ცხოვრებაში
კაცთა შორის იერიში..
საზოგადო თვალთმაქცობა,
საპირადო ანგარიში!...

—

ეჰ, წყეულო ბედის წერავ!
რა სიბერე გადამკიდე?!..
ია-ვარდის მთესველ-მკრეფი,
ახლა უნდა ეკალს ვმკიდე?

აკაკი.

# სასამართლო

**დუშეთი**. ცამეტ მაისს უკანასკნელი საქმეები გაარჩია ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ. ყველა საქმეთა შორის საყურადღებო ოთხის ზეინკლის საქმე იყო, რომელთაც მცხეთასა და ქსანს შუა რკინის გზის ვაგონის გატეხა ჰბრალდებათ და რამდენიმე ფუთი რკინის მოპარვა. სამართლომ თვითეულს თითო წელიწადი ციხე მიუსაჯა და ყოველივე ღირსება აჰყარეს. სხვა წვრილმანი საქმეებიც გაარჩია და ცამეტ ამ თვეს სესია ტფილისში დაბრუნდა. ოც და ოთხ ამ თვეს თიონეთში მივა, სადაც რამდენიმე საქმე აქვს გასარჩევი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 მაისი

**პეტერბურგი**. დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისის უდიდებულესობის სახელზე 13 მაისით: «12 მაისს მომხდარმა დაზვერვამ ფინხუანჩენისაკენ აღმოაჩინა, რომ ლიაოიანის უმთავრეს გზაზე იაპონელთა მოწინავე რაზმს უჭირავს ტრუმენძის უღელტეხილი და მეზობელი სოფელი სიაოდიანდანი. სოფლებში, რომელიც ლიაოიანის გზას აკრავს, დარიგებულია პატარა რაზმები. უღელტეხილი გამაგრებულია. უფრო მეტი ძალა აღმოჩნდა სელუჯანთან და დალიანდიაპუძთან, საიდანაც მიდის ხაიჩენის გზა. 3 მაისს შენიშნეს წინ სვლა იაპონელთა მცირე რაზმებისა ხაიჩენის გზით დალიან დიაპუზიდან; ეს ჯარები შექუჩებულია ჩანდაგოუში, 14 ვერსზე დალიანდიაპუძიდან.—უღელტეხილი სანხაილინი, როგორც ისმის, კლავ იაპონელებმა დაიჭირეს; 7 მაისს ჩვენს მზვერავს რაზმს სროლა ჰქონდა იაპონელებთან, ამ დროს ერთი ყაზახი დაიჭრა. 11 მაისს შენიშნეს მოძრაობა იაპონელთა რაზმებისა ხაბალინიდან მდინარე ლოიანხესკენ და აქ ნახეს სამი როტა იაპონელთა, რომელთაც სროლა აუტეხეს ლიაოდუნის ნახევარკუნძულს სამხრეთ მიდამოებშიაც ბევრგან გაჩნდნენ იაპონელთა მოწინავე რაზმები. ბიძივოსა და სიახოუკოუვეიზთან მუდამ გადმოდიან იაპონელთა ჯარები და სხვა და სხვა საქონელი და სურსათი გადმოაქვთ. უკანასკნელ ადგილში ძლიერი გარნიზონი სდგას. ცნობებით, რომელსაც ჯერ კიდევ დამტკიცება უნდა, ჯერ დაგუშანთან 18 ათასი იაპონელი გადმოსულა, გადმოუტანიათ რამდენიმე დიდი ზარბაზანი, თითოში 18 ცხენიება. როგორც ამბობენ იაპონელებში კორეელი ჯარის კაცებიც ურევიაო. ხაბალინიდან იუწყებიან, დაუყონებლივ მოდიან იაპონიის ჯარები დაგუშანის გზითაო. სადიიძაპუში, ხაბალინს ახლო, სიმაგრეებს აკეთებენ.

**არიოლი**. ხელმწიფე იმპერატორმა, არიოლში მყოფობის გამო, უმაღლესად უბოძა სამი ათასი მანეთი არიოლის დარაჯიცხოვრებთა შესაწევნელად.

**ბლაგოვეშჩენსკი** 14 მაისს, პარაკლისის შემდეგ, ჯარების უფროსის თანადასწრებით, პარადი იყო ჯარებისა.

**ტოკიო**. 14 მაისი («რეიტერის სააგ«) შედგარის ომის შემდეგ, რომელიც ხუთ დღეს განრძელდა, იაპონელებმა გუშინ სალამოს აიღეს ცზინჟოუ, შემდეგ ძლიერის ბრძოლისა დაიჭირეს ცინგაუნჩჟანი, გამაგრებული პოზიცია რუსებისა. არტილერიის ბრძოლა კიდევ არის. რუსეთის კანონერკა ესროდა ყუმბარებს იაპონელთა მარცხენა ფრთას ტალიენვანის ნავსადგურიდან. იაპონიის სამხედრო გემები შველიდნენ ლაშქარს ცზინჟოუს ნავსადგურიდან.

**ფუზანი**. 14 მაისი («რეიტერის სააგ«). ყაზახები მუდამ მზვერაობენ. 10-15 მილზე სამხრეთ-დასავლეთად ფინხუანჩენიდან რამდენიმე შეტაკება მოხდა.

**ტოკიო**. («რეიტერის სააგ.»). ოფიციალურად. ჩვენი ლაშქრის ერთმა ნაწილმა, რომელიც ლიაოდუნის ნახევარკუნძულზე გადავიდა, 13 მაისს განთიადისას იერიში მიიტანა რუსის ძლიერ გამაგრებულს პოზიციაზე ცინჩჟოუსთან. ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა უკუაქციეს რუსები და დაიჭირეს მათგან მიტოვებული ადგილები. რუსის ჯარებმა პორტ არტურისკენ დაიწიეს.

15 მაისი.

**ტოკიო**. («ვოლფის სააგენტო») იაპონიის ლაშქრის მხედართ-მთავარი, რომელმაც იერიში მიიტანა ციონჯოუზედ, მოახსენებს თავის მთავრობას: «8 მაისს დავუკვირდით რუსთა სროლას და დავრწმუნდით, რომ ნანშანის სერზედ, ცინჯოუდან სამხრეთად რუსებს დაედგათ ოთხი 15 სანტიმეტრიანი ა ათი 9—15 სანტიმეტრიანი მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზანი; ამას გარდა, რუსებს აუგიათ ათი სიმაგრე, ხოლო სერის ძირას გაუბავთ მავთული ხარიხად და მიწაში ჩაუწყვიათ ნაღმები. 9 მაისს დაიწყეს ოტება მოიერიშე რაზმებმა. მეორე დღეს გამოირკვა, რომ რუსების მარჯვენა ფრთე იმყოფებოდა ხუანშანგტაოს მახლობლად და ჰქონდა 8 დიდი ზარბაზანი, ზღვისკენ ტუჩებ მიშვერილები. ცინჯოუში ცოტა სჩანდა ქვეითი ჯარი და არტილერია. 12 მაისს დილით იაპონელებმა მიიტანეს იერიში ცინჯოუზედ და რუსთა არტილერია ჩაიყოლიეს ომში. 13 მაისს განთიადისას დავუშინეთ ზარბაზნები რუსთა სიმაგრეებს. სროლა ზარბაზნებისა 5 საათს არ შეწყვეტილა, ამავე დროს სამი სამხედრო გემი იაპონიისა ისროდა ზარბაზნებს ციჯოუს ყურედან. რუსთა საკანონერო ნავი ისროდა ზარბაზნებს ჩვენის მარცხენა ფრთისაკენ ტალიენვანის ყურედან. ექვსის ნახევარზედ ავიღეთ იერიშით ცინჯოუ და, ცხარე ბრძოლის შემდეგ, დავიჭირეთ ნანშანის სერი».

**ტოკიო** («ვოლფის სააგენტო») ოფიციალური დაწვრილებული მოხსენება ცინჯოუზედ თავ-დსხმისა ამბობს, რომ რუსებს ნანშანის სიმაგრესთან ამოუღიათ რამდენიმე თხრილი და მათი ჯარი მედგრადაც გვებრძოდაო. მრავალ-გზის ცდის შემდეგ ძლივს ავიღეთ იერიშით რუსთასიმაგრენი და მათ ჯარს დავახევინეთ ნანგუანელისკენ. საშინელმა და ცხარე ბრძოლამ გასტანა აქ 16 საათს.—

ადმირალი ტოგო იუწყება, რომ ოთხი საკანონერო ნავი და ნაღმოსანთა ფლოტილია ცინჯოუს ყურედან იაპონიის დანარჩენ ფლოტთან ერთად ესროდა ზარბაზნებს 13 მაისს ნანშანს. სიმაგრეთა ჯარმა უკან დაიწია. მოკლულ იქმნა კაპიტანი ხოკაი და 9 კაცი გემებს ფრიად მცირე ზიანი მიეცა.

**ტოკიო**. იაპონიის ჯარებს, რომელიც იბრძვიან კვანტუანის ნახევარ კუნძულზე, უფროსობს გენერალი ნოგი და შესდგება მე-5 და 11-ე დივიზიებისაგან და მძიმე ციხის არტილერიისაგან. ამ რაზმს ჰქვიან მესამე ლაშქარი. ნოძუს ჯარები კი, რომლებიც შესდგება მე-6, 7 და 9 დივიზიებისაგან, იწოდებიან მეოთხე ლაშქრად.

**ტოკიო**. («რეიტერის სააგ.»). უკანასკნელ მოხსენებათაგან სჩანს, რომ გუშინდელს იერიშის დროს ნანშანზე ძალიან სისხლის ღვრა იყოვო. რუსებს ბუარებელი სანგრები და თხრილები ჰქონიათ დამზადებული, რომელიც მთის ძირას ჩანერგული ყოფილა მავთულებითა. იაპონელებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში, მაგრამ ვერას გმხდენ, რადგან რუსებმა ძალუმი სროლა ასტეხეს თოფ-სა და ზარბაზნისა; ბოლოს დღის სამ საათზე იაპონელთ კვლავ მიიტანეს იერიში და აიღეს ბორცვი: გავიდა რვა საათი, მინამ იაპონელნი ყველა ბორცვებს დაიჭერდნენ.

**ჩიკაგო** (რეიტერის სააგენტო). იაპონიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ იაპონიის ფლოტმა მთლად ალყა შემოარტყა სამხრეთის ნაწილს ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულს ალყა დაწყობილია ბიცზივოდამ პულანდიანამდე. მთავრობა აცხადებს, რომ ალყა ნამდვილად შესრულებულ იქმნებაო.

**სოფია** უფულობისა გამო რეფორმების საქმეს დიდი საფთხე მოელისო.

**ბელგრადი**. დაგვირგვინების დღესასწაული იქნება 16-დან 18 აგვისტომდეო.

**პარიჟი**. ადისაბებიდან იუწყებიან, მენელიკი ისე ძიელ არის ავად, რომ ექიმებს იმედი ირა აქვთ იმიმ მორჩენისაო ეშინიანთ შინაურის არეულობისა.

**ვენა**. იმპერატორმა უბოძა მეფე ედუარდს ფერდმარშლობა. ერცჰერცოგი ფრიდრიხი გადასცემს მეფეს საფერდმარშლო ნიშნებსა.

**რომი**. დეპუტატთა პალატაში გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტრის თანაშემწემ ფუზინაურამ განაცხადა, იტალიის ელჩს სტამბოლში რამდენჯერმე ჰქონდა მინდობილი მოელაპარაკა პორტასთან სომხეთში მომხდარ სამწუხარო ამბების შესახებ

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

11 მაისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირ. სტ. . . . | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | – |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,50 |
| ბერლინში „ . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . „ . . . . . . . | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი. . . . . | $6-7^{1}/_{2}\%$ |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 91 ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | 88 ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 374 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 294 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | $260^{1}/_{2}$ ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| $4^{1}/_{2}\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| $4^{1}/_{2}\%$ ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა . . . . . | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

# განცხადებანი

## შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაგან

შავი ქვის მრეწველთა საბჭო ამით აცხადებს, რომ 18 მაისს 1904 წ. დილის 12 საათზედ, ქუთაისში დანიშნულია ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა:

1) საკლატოზო საქმე სამკურნალოს შენობაზედ ჭიათურაში—3646 მან. 80 კაპ.

2) სადურგლო საქმე სამკურნალოს შენობაში—7900 მან. და

3) ატამნარ-ჭალის გზის შეკეთება შავი ქვის მადნებზედ—2117 მან.

ვისაც სურს ივაჭროს, უნდა წარმოადგინოს საბჭოს კასაში ვაჭრობის დაწყებამდე ბედ გადადებულ ფულის 5%-ი ნაღდ ფულად, ან მთავრობის მიერ უზრუნველ ფასიან ქაღალდებად. ვაჭრობა უნდა დამტკიცებულ იქმნას საბჭოს მიერ. ბე უბრუნდება იჯარადარს 6 თთვეს შემდეგ იმ დღიდან, რა დღესაც სამუშაო ჩაბარებულ იქმნება.

(2—6—2).

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**

въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა, ფასი 70 კაპ.

(2—141—2).

ქუთაისში

ს. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებისენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



ამერიკის

## ავტომობილები

**ბენზინით მოძრავი**

## ველოსიპედები

ბენზინის მატორებით.

**Акц. О-во „ЭНФИЛЬД"**
**МОСКВА РОЖДЕСТВЕНКА № 9**

СПБ. Морская, № 30.

(10—6—10).

## 70% ეკონომია 70%

უკანასკნელ დროის კონკურენციისა და საწყობში დიდ-ძალ დამხადებულ საქონლის გამო და აგრეთვე ფირმის გასაძლიერებლად, იძულებულნი ვართ დაუთმოთ ძალიან დაკლებულ ფასად.

მარტო 5 მან. და 90 კაპ. ვგზავნით

* ქვემოთ-ჩამოთვლილი სასარგებლო და ფასიანი 8 ნივთი. 1) **საათი** გაშავებულ ფოლადისა კაცისა ანუ ქალის ანუ კაცისა დაფერილი ოქროთი (გატარებული ცეცხლი) ძალიან მშვენიერია, მაგარი მექანიზმით და 6 წლის ბუღლავანობით. 2) **ძეწკვი ახალი ოქროსი** პრტყელი (პანცირისა) ანუ მოკლე ნიკელისა ან ქალისთვის ყელისა ახალი ოქროსი, 3) **ბრელოკი** აპალი ოქროსი. «კომპასი» ანუ სხვა, 4) **მეშის ქისა** საათის შესანახად. 5) ჯიბის ელექტრონული ფარანი, რომელიც იძლევა ძლიერ სინათლს ანუ **ბეჭედი ოქროსი 56 დაჰლისა** ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ქამარზედ ჩამოსაკიდებელი. 6) **კალმის დანა** საუცხოვო საზღვარ-გარეთის ფოლადისა ან **მუშტუკ-აპარატი** უვნებელ წევისათვის ან შეფერილი მაკრატელი. 7) ტყავის ქისა ერთი სახურავით და 7 განყოფილებით, მექანიკურ საკეტით და მყიდველის სახელის, მამის სახელის და გვარის ბეჭედით. 8) **ქისა** საზღვარ-გარეთის ტყავისა მისალოც ბარათებისთვის, ქაღალდებისთვის და საბუთის წერილებისათვის ან წყვილი საყურე ოქროსი 56 დამღისა ქვებით. ყველა ამას ვგზავნით მუქთ საჩუქრათ უბეოდ ფას დადებით მარტო 5 მან. და 90 კაპ. გაგზავნით. თავ-სახურავიანი საათი დამატებით, 1 მან. და 50 კაპეიკით მეტი ღირს.

მსურველთ მიჰმართონ ამ ადრესით: Главному Складу Часовъ Торговаго Дома.

*Ш. Якобсонъ въ Варшавѣ, Тверская*, 32/350

აზიის რუსეთსა და ციმბირში უბეოდ არ გაეგზავნებათ და გადახდებათ აგრეთვე ნაწილი გასაგზავნ ხარჯისა.

პრეისკურანტი უფასოდ.

(3—6—3



როიაილები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, ჩიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

**ბ. მ. მირიმანიანისა.**

**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**

**В. М. МИРИМАНЯНЦЪ**

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—24)

## გამგე[illegible]

[illegible] თვის ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებისა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის მაისის ოცსა, ხუთშაბათს, სალამოს რვა საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის სადგომში დანიშნულია წლიური საზოგადო კრება საზოგადოების წევრთა

**განსახილველია:**

1) ანგარიში საზოგადოების 1903 წლის მოქმედებისა და გამგე კომიტეტის მოხსენება ამ ანგარიშის გამო.

2) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავალისა 1904 წლისთვის.

3) მოხსენება გამგე კომიტეტისა საზოგადოების ახალის სახლის ვერაზე აშენების შესახებ.

4) საპენსიო წესდება სათავადაზნაურო სკოლის მოსამსახურე პირთათვის.

5) შევსება საზოგადოების წესდების §§ 4 და 18.

6) მოხსენება ახალის შტატების შესახებ სათავად-აზნაურო სკოლის მოსამსახურე პირთათვის.

7) მოხსენება გამგე კომიტეტისა სათავად-აზნაურო საქალო სკოლის შესახებ.

8) სხვადასხვა წვრილმანი საკითხი.

9) არჩევანი კომიტეტის ერთის წევრისა ნაცვლად გ. დ. ქურულისა, რომელმაც ვადის გასვლამდე თავი გაანება წევრობას.

(3—6—3)

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

—

თანახმად **უმაღლესად** დამტკიცებულ 25 მაისს 1895 წელს სახელმწიფო საბჭოს აზრისა იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებლად მყოფთ თავიანთი შეტანილი ფული ამა ბანკის დასაარსებლად და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს, 1900 წელს დამტკიცებულ წესთა მე-7 მუხლის ძალით, ამით ცხადდება საყოველთაოდ, რომ ის, ვის ხელშიაც გადავიდა შესაბამის წარწერით თ-დ ქაიხოსრო დავითის ძის ავალიშვილის მიერ ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის კვიტანცია ას-ორმოცდა-ათი მანეთისა (150), მოვალეა წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების დაბეჭდისა. თუ ასე არ მოიქცა, სამუდამოდ დაეკარგება უფლება იმ ფულის მიღებისა და იგი ფული დაუბრუნდება ზემოხსენებულ თ-დ ავალიშვილს.

(3—6—3).




## მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

## „ოლიმპრინი" მ. ვ. ლეპედევის"

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

Дозволено цензурою Тифлисъ 15 мая 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.